

თავი 28

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

1. კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს, თუ რამდენი გამოიმუშავა ფირმამ ჯამური კაპიტალდაბანდების ყველა საფინანსო წყაროდან, არის:
 - ა) ROA;
 - ბ) ROE;
 - გ) ROIC.
2. ტერმინს “მოგება ამოქმედებულ კაპიტალზე” შეესაბამება კოეფიციენტი:
 - ა) ROE;
 - ბ) ROCE;
 - გ) ROA.
3. თუ კოეფიციენტების შედარება ხდება სხვა პერიოდების შესაბამის კოეფიციენტებთან, შედარებას ეწოდება:
 - ა) SWOT ანალიზი;
 - ბ) ტენდენციების ანალიზი;
 - გ) კოეფიციენტების ანალიზი.
4. წმინდა მოგება: აქტიონერულ კაპიტალზე – გამოხატული პროცენტებში, გვიჩვენებს:
 - ა) მოგებას სააქციო კაპიტალზე;
 - ბ) მთლიანი აქტივების რენტაბელობას;
 - გ) ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობას.
5. წმინდა მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტი აღნიშნავს:
 - ა) ინვესტიციის ბრუნვალობას;
 - ბ) მთლიანი აქტივების რენტაბელობას;
 - გ) არცერთ მათგანს.
6. გაანგარიშებით – შემოსავალი რეალიზაციიდან: ძირითად საშუალებებზე – გამოიხატება:
 - ა) საკუთარი კაპიტალის ბრუნვალობა;
 - ბ) კაპიტალის გამოყენების ინტენსივობა;
 - გ) ინვესტირებული კაპიტალის ბრუნვალობა.
7. გაანგარიშებით – შემოსავალი რეალიზაციიდან : საბრუნავი კაპიტალი – გამოიხატება:
 - ა) საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობა;
 - ბ) კრედიტორული ანგარიშების გადახდის პერიოდი;
 - გ) დებიტორული ანგარიშების გადახდის პერიოდი.
8. ინვესტირებული კაპიტალის გამოყენების კოეფიციენტებს მიეკუთვნება:
 - ა) აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი;
 - ბ) ლიკვიდობის კოეფიციენტი;
 - ც) ლევერიჯის კოეფიციენტი.

9. ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტებს არ მიეკუთვნება:

- ა) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- ბ) დივიდენდების შემოსავლიანობის კოეფიციენტი;
- გ) საკუთარი კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი.

10. გაანგარიშებით – დივიდენდები : სუფთა მოგებაზე – გამოიხატება:

- ა) დივიდენდების გადახდა;
- ბ) დივიდენდების შემოსავლიანობა;
- გ) ლევერიჯის კოეფიციენტი.

11. მარაგის შენახვის პერიოდი გამოიხატება, გაანგარიშებით:

- ა) მარაგის ნაშთი : საბრუნავ კაპიტალზე;
- ბ) რეალიზაციის თვითღირებულება : მარაგის ნაშთზე;
- გ) მარაგის ნაშთი : რეალიზაციის თვითღირებულებაზე.

12. რენტაბელობის, მოგებიანობის კოეფიციენტებს მიეკუთვნება:

- ა) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
- ბ) აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი;
- გ) წმინდა მოგების მარჟა.

13. ფინანსური მდგომარეობის შეფასების კოეფიციენტებს მიეკუთვნება:

- ა) მოგება აქციაზე;
- ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- გ) საკუთარი საშუალებების ბრუნვალობის კოეფიციენტი.

14. კრედიტორისათვის ყველაზე მეტად საინტერესოა:

- ა) რენტაბელობის კოეფიციენტები;
- ბ) ფინანსური მდგომარეობის შეფასების კოეფიციენტები;
- გ) ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები.

15. კოეფიციენტი ROE ყველაზე მეტად წარმოადგენს:

- ა) აქციონერთა ინტერესს;
- ბ) საწარმოს განყოფილების ხელმძღვანელთა ინტერესს;
- გ) კრედიტორთა ინტერესს.

ამოცანა №1

საწარმო „ალფა“

მოგეთხოვებათ: საწარმო „ალფა“-ს საქმიანობის შედეგების მიხედვით:

(ა) მოამზადოთ ქვემოთ მოცემული კოეფიციენტების ცხრილი ორივე წლისათვის. გაანგარიშებების გარკვევით ჩვენებით:

- მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- მარაგის ბრუნვა დღეებში;
- დებიტორული დავალიანების ბრუნვა დღეებში;
- კრედიტორული დავალიანების ბრუნვა დღეებში;
- საერთო მოგების პროცენტი%;
- წმინდა მოგების პროცენტი % (დაბეგვრამდე);
- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
- დივიდენდის დაფარვის კოეფიციენტი;
- უკუგება საკუთარ კაპიტალზე (დაბეგვრამდე);
- უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე;
- საკუთარი კაპიტალის აქტივებთან ფარდობის კოეფიციენტი.

(ბ) კითხვაში მოცემული ინფორმაციის სრულად გამოყენების საფუძველზე, კომენტარი გააკეთეთ მენეჯმენტის მიერ გაწეულ მუშაობაზე.

მოგებისა და ზარალის ანგარიშება

	წლის ბოლო	
	31.12.X1	31.12.X0
ამონაგები გაყიდვებიდან	60000	50000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	<u>42000</u>	<u>34000</u>
მთლიანი მოგება	18000	16000
საოპერაციო ხარჯები	<u>15500</u>	<u>13000</u>
საოპერაციო მოგება	2500	3000
გადასახდელი პროცენტი	<u>2200</u>	<u>1300</u>
მოგება დაბეგვრამდე	300	1700
გადასახადი	<u>350</u>	<u>600</u>
(ზარალი) მოგება დაბეგვრის შემდეგ	<u>(50)</u>	<u>1100</u>

ორივე წელს გადახდილ იქნა დივიდენდები 600000-ის

ოდენობით.

ბალანსი			
	31.12.X1	31.12.X0	
გრძელვადიანი აქტივები			
მატერიალური	500		
არამატერიალური	<u>12000</u>	<u>11000</u>	
	12500	11000	
მოკლევადიანი აქტივები:			
მარაგი	14000	13000	
დებიტორული დავალიანება	16000	15000	
ბანკი და სალარო	<u>500</u>	<u>500</u>	
	<u>30500</u>	<u>28500</u>	
	<u>43000</u>	<u>39500</u>	
კაპიტალი და რეზერვები			
სააქციო კაპიტალი	1300	1300	
საემისიო კაპიტალი	3300	3300	
გადაფასების რეზერვი	2000	2000	
დაგროვილი მოგება	<u>7350</u>	<u>8000</u>	
	13950	14600	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
თამასუქები	6000	5500	
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული			
დავალიანება	<u>23050</u>	<u>19400</u>	
	<u>43.000</u>	<u>39500</u>	

ამოცანა №2

კოეფიციენტები – საწარმო "ბეტა"

მოცემულია საწარმო "ბეტა-ს" შ ემოკლებული ანგარიშგება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგეთხოვებათ:

(ა) თითოეული წლისათვის გამოითვალოთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მომხმარებლის ჯგუფისათვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კოეფიციენტი:

- აქციონერები;
- კრედიტორები;
- შიდა მენეჯმენტი.

(ბ) გააკეთოთ კომენტარი მოცემულ პერიოდში ზემოთ (ა)-ში გამოთვლილი კოეფიციენტების ცვლილებაზე.

შემოკლებული ბალანსი

	20X0		20X1	
	ათ.ლარ	ათ.ლარ	ათ.ლარ	ათ.ლარ
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები				
(თვითღირებულება-ცვეთა)		4.995		12.700
მოკლევადიანი აქტივები:				
მარაგი	40.145		50.455	
დებიტორული დავალიანება	40.210		43.370	
ფული ბანკში	<u>12.092</u>		<u>5.790</u>	
		<u>92.447</u>		<u>99.615</u>
		<u>97.442</u>		<u>112.315</u>
კაპიტალი და რეზერვები:				
საკუთარი კაპიტალი – 25				
თეთრიანი აქციები		9.920		9.920
დაგროვილი მოგება		<u>32.605</u>		<u>42.065</u>
		42.525		51.985
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
10% - იანი თამასუქები		19.840		19.840
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო კრედიტორული				
დავალიანება	32.604		37.230	
გადასახადი	<u>2.473</u>		<u>3.260</u>	
		<u>35.077</u>		<u>40.490</u>

	<u>97.442</u>	<u>112.315</u>
რეზერვების ცვლილება		
დაგროვილი მოგება (წინა წლების)	25.325	32.605
31 დეკემბრისათვის მიღებ. მოგება	9.520	11.660
მიმდინარე წლის მოგების განაწილება (დივიდ.)	<u>(2.240)</u>	<u>(2.200)</u>
	<u>32.605</u>	<u>42.065</u>
შემოკლებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		
	20X0	20X1
	ათ ლარ	ათ ლარ
ამონაგები გაყიდვებიდან	<u>486.300</u>	<u>583.900</u>
საოპერაციო მოგება	17.238	20.670
გადასახდელი პროცენტი	<u>1.984</u>	<u>1.984</u>
მოგება დაბეგვრამდე	15.254	18.686
გადასახადი	<u>5.734</u>	<u>7.026</u>
მიმდინარე წლის მოგება	9.520	11.660

ამოცანა №3

საწარმოს “გამა”

მოცემულია „გამა“-ს 20X0 და 20X1 წწ. 31 დეკემბრის ბალანსები.

მოგეთხოვებათ:

(ა) გამოითვალოთ შემდეგი კოეფიციენტები ორივე წლისათვის:

- უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე;
- უკუგება საკუთარ კაპიტალზე;
- მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- ლევერიჯი.

ყველა კოეფიციენტის გამოთვლიასას გამოიყენებთ წლის ბოლოსათვის არსებული რიცხვები.

(ბ) კომენტარი გააკეთოთ მოცემულ პერიოდში აღნიშნული კოეფიციენტების ცვლილებაზე.

ბალანსი				
	20X0		20X1	
	ათ ლარ	ათ ლარ	ათ ლარ	ათ ლარ
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
თვითღირებულება ან შეფასება	51.000		63.000	
დაგროვილი ცვეთა	<u>(12.500)</u>		<u>(16.300)</u>	
		<u>38.500</u>		<u>46.700</u>
მოკლევადიანი აქტივები:				
მარაგი	16.400		18.400	
სავაჭრო დებიტორული				
დავალიანება	19.100		20.600	
წინასწარ გადახდები	<u>3.100</u>		<u>4.000</u>	
		<u>38.600</u>		<u>43.000</u>
სულ აქტივები:		<u>77.100</u>		<u>89.700</u>
გამოშვებული სააქციო კაპიტალი	10.000		10.000	
საემისიო კაპიტალი	5.000		5.000	
გადაფასების რეზერვი	5.000		5.000	
დაგროვილი მომოგება	<u>8.600</u>		<u>12.300</u>	
		<u>28.600</u>		<u>32.300</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
7%-იანი თამასუქები (20მლნ, გამოშვებული 20X0წ.1 მაისს)		<u>20.000</u>		<u>40.000</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო კრედიტორული				
დავალიანება	11.400		8.400	
ღარიცხვები	3.400		4.200	
ოვერდრაფტი	<u>13.700</u>		<u>4.800</u>	
		<u>28.500</u>		<u>17.400</u>
		<u>77.100</u>		<u>89.700</u>

მოცემულია “გამა” 20X0 და 20X1 წწ. 31 დეკემბერი დასრულებული წლების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებები (გადასახადები იგნორირებულია):

31 დეკემბერი
დასრულებული
წელი

	20X0	20X1
	ათ. ლარი	ათ. ლარი
ამონაგები გაყიდვებიდან	58.000	66.000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	<u>(43.000)</u>	<u>(49.000)</u>
საერთო მოგება	15.000	17.000
საოპერაციო ხარჯები	<u>(10.000)</u>	<u>(10.500)</u>
საოპერაციო მოგება	5.000	6.500
გადასახდელი პროცენტი	<u>(1.400)</u>	<u>(2.800)</u>
მოცემული ოერიოდის წმინდა მოგება	<u>3.600</u>	<u>3.700</u>